

შ.პ.ს. „ჯორჯია უნივერსალი“ ს/კ 446972410

ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი

დანისპარაული (კურორტი გოდერძი).

დირექტორი: რობერტ მამულაძე. ტ:595 02 74 74

ელ.ფოსტა: j.batadze74@qmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის

მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი

შეფასების დეპარტამენტის უფროსს

ქალბატონ მაია ბერაძეს

ს კ რ ი ნ ი ნ გ ი ს გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯორჯია უნივერსალს“ აჭარის რეგიონში, კერძოდ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ დანისპარაულში (კურორტი გოდერძი) სამთავრობო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქვს ქვიშა-ღორღის გადამამუშავებელი დანადგარის დამონტაჟება. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი **230133009**. (ტერიტორიის GPS კოორდინატები: X=291389.41; Y=4613552.21):

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად შ.პ.ს. „ჯორჯია უნივერსალი“-ს მიერ დაგეგმილ მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

საქმიანობა იგეგმება ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ დანისპარაულში მდინარე აჭარისწყალის მარცხენა სანაპიროზე, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, სადაც მოხდება ქვიშა ღორღის გადამამუშავებელი დანადგარის განთავსება. საწარმოს მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართია 8645 მ². საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 3 კმ-ით. საწარმოს ტერიტორიიდან მდ აჭარისწყალი დაშორებულია 1500 მეტრით. ტერიტორია წარმოადგენს მდინარისეულ ალუვიურ მასალას. ტერიტორიას ოთხივე მხრიდან ესაზღვრება არასასოფლო დანიშნულების ტერიტორიები.

საწარმოს მთლიანი ტერიტორიაზე პრაქტიკულად არ ფიქსირდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. მშენებლობის პერიოდში ნიადაგის ნაყოფიერი ფენის არსებობის შემთხვევაში ის მოხსნილი იქნება და სრული

კანონმდებლობის დაცვით დასაწყობებული იქნება საწარმოო ტერიტორიაზე.

ზემოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ინფრასტრუქტურით. შერჩეული ნაკვეთის მომიჯნავე ტერორიებზე არ არის ტყით დაფარული ისეთი ტერიტორიები, სადაც ხანძარი შეიძლება სწრაფად გავრცელდეს. ყოველივე აქედან გამომდინარე ავარიის ან/და კატასტროფების რისკები მოსალოდნელი არ არის. სახანძრო უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებული იქნება სახანძრო დაფები ცეცხლმაქრებით.

საწარმოში დაგეგმილია ინერტული მასალების გადამუშავება და სასაქონლო ბეტონის დამზადება 20 თვე.

საწარმოს ციკლის აღწერა: თვითმცლელით შემოტანილი ნედლეული დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე, რომელიც შემდგომ მიეწოდება მიმღებ ბუნკერს და გადადის პირველად საცერში, სადაც წყლის გამოყენებით ხდება ბუნებრივი ქვიშის მოცილება. შემდგომ ქვიშა გაივლის კლასიფიკატორს და დასაწყობდება. პირველადი საცერიდან გარეცხილი ნედლეული მიეწოდება სამსხვრევს, დამსხვრეული მასალა შემდგომმიეწოდება მცირე საცერს სადაც ხდება მისი დამუშავება. დამუშავების შემდგომ ხდება სხვადასხვა ფრაქციის დასაწყობება.

ბეტონის საამქრო გათვალისწინებულია გადასატანი ბეტონის დასამზადებლად. საამქროს მოკლე აღწერა: ავტომატური მართვის სისტემა და ოპერატორის კაბინა. ბეტონამრევი შედგება: ამწე მოწყობილობა, ტრანსპორტიორი, ლენტური კონვეიერი, ინერტული მასალის დოზირების სისტემა. შემგროვებელი ბუნკერი და ავტოდოზატორი, წყლის მიწოდების სისტემა-დამაბალანსებელი კამერა.

საწარმოში განხორციელდება ბუნებრივი რესურსის ქვიშა ხრემის სველი წესით გადამუშავება სხვადასხვა ფრაქციად, რომლის მაქსიმალური წარმადობა შეადგენს 110 მ³/სთ. საწარმოში წელიწადში გადამუშავდება 44.1 ათ მ³ ბალასტი, რომელის ამოღებაზეც კომპნიას გააჩნია ლიცენზიები აჭარის არ ეკონომიკის სამინისტროდან (ლიცენზიის №000248 და №000247. მიღებული 06.09.2018 წ). ნედლეული საწარმოს ტერიტორიაზე შემოიზიდება ავტოთვითმცლელით. ტრანსპორტირების მანძილი არ აღემატება 100-150 მ-ს. ბუნკერის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან შეადგენს 1.5-2 მ-ს. დამზადებული იქნება

სასაქონლო ბეტონი 60000 მ³ მოცულობის წარმადობით. საწარმო იმუშავებს წელიწადში 240 დღეს, 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით. დასაქმდება 15 ადამიანი.

საწარმოს ტერიტორიაზე განთავსდება სამი ერთეული ცემენტის შესანახი ბუნკერი საერთო მოცულობით 300 ტნ, რომლებიც აღჭურვილი იქნება მთვერდამჭერი სახელოებიანი ფილტრებით.

სამეწარმოდ ტექნიკური წყლის გამოყენება დაგეგმილია მიმდებარედ არსებული მდ. სასადილოს წყალიდან (მდ აჭარისწყლის შენაკადი), რაზედაც გააჩნია ტექნიკური რგლამენტის პირობები, მიღებული აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოდან. საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის წყლის მომარაგება განხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან, ხოლო ფეკალური წყლების ჩაშვება განხორციელდება დამაგროვებელში და საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი გატანა არსებული წესით.

საწარმოო ჩამდინარე წყლის ჩაშვება რომელიც დაბინძურებული იქნება შეწონილი ნაწილაკებით, მოხდება იმავე მდინარეში სათანადო გაწმენდის შემდეგ, რისთვისაც მოწყობილია პრველადი, მეორადი და მესამედი გაწმენდის მექანიკური ტიპის სალექარი. ტექნიკური წყლის ხარჯი იქნება 10 ათასი მ³/წელ.

რადგან საწარმოში არ გამოიყენება რაიმე სახის საწვავი, ამიტომ სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი ნავთობპროდუქტებით არ არსებობს.

საქმიანობისას მოსალოდნელია მცირე რაოდენობის სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება გათვალისწინებულია კონტეინერებში, რომელიც შემდგომ ხელშეკრულების საფუძველზე გატანილი იქნება ნაგავსაყრელზე არსებული წესის მიხედვით. მისი წლიური რაოდენობა არ აღემატება 300 კგ., ხოლო სახიფათო ნარჩენების არსებობის შემთხვევაში იგი განთავსდება დაცულ ადგილებზე და გადაეცემა იურიდიულ პირს რომელსაც ექნება შესაბამისი ნებართვა ნარჩენების გაუვნებელყოფაზე. მათი გატანა მოხდება შესაბამისი წესების დაცვით.

სამუშაოს ჩასატარებელ ტერიტორიაზე არ არსებობს რაიმე სახის მცენარეული საფარი, რაც გამორიცხავს სამუშაოების პროცესში და შემდგომ ეტაპზე მცენარეული საფარზე რაიმე სახის ზემოქმედებას.

საწარმო დანადგარების ფუნქციონირებისას მოსალოდნელია ხმაურის წარმოქმნა, თუმცა წარმოდგენილი გაანგარიშებით ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი მოსახლეობისათვის.

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების (არაორგანული მტვერი) გაფრქვევა. აღნიშნული საწარმოო პროცესი მიმდინარეობს სველი მეთოდით, ასევე ცემენტის ბუნკერებში გამოიყენება მტვერდამჭერი სახლოებიანი ფილტრები, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების რისკებს.

საქმიანობის პროცესში ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოიყენებს საშუალო ტონაჟიანი საავტომობილო ტრანსპორტს. აღნიშნულის გათვალისწინებით არ არის მოსალოდნელი მიმდებარე შიდა გზების ან საავტომობილო მაგისტრალის სატრანსპორტო ნაკადის გადატვირთვა. ავტოტექნიკის მომსახურეობა განხორციელდება ტექნომსახურეობის ცენტრებში.

საწარმოს მშენებლობისას, დანადგარების მონტაჟისას და ფუნქციონირებისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსები არ იქნება გამოყენებული.

აღნიშნული საქმიანობა არ უკავშირდება რაიმე სახის მამტაბური ავარიის ან კატასტროფის რისკებს. საქმიანობა არაა დაგეგმილი ჭარბტენიან ტერიტორიებთან, შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიებთან, სახელმწიფო ტყის ფონდსა და დაცულ ტერიტორიებთან. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება არაა მოსალოდნელი. ვიზუალური დათვალიერებით საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, თუმცა საწარმოს ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში დამკვეთის მოთხოვნით სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად

შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

ზემოქმედების ეფექტიანი შემცირების შესაძლებლობებიდან მნიშვნელოვანია ის რომ საწარმოში მისი ოპერირებისას გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე მკაცრი კონტროლი იქნება დაწესებული და საჭიროების შემთხვევაში კომპანია ღებულობს ვალდებულებას განახორციელოს დამატებითი გარემოსდაცვითი ღონისძიებები.

დირექტორი:



რობერტი მამულაძე

